ანალიტიკური წერა (AW1)

II ვარიანტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ანტაკიის რეგიონში მადნის მოპოვების შედეგად წყალი და ნიადაგი დაბინძურებულია, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში სხვადასხვა სახის დაავადებებს იწვევს. ეკოლოგიური ცნობიერების დაბალი დონის გაუმჯობესების მიზნით, სკოლებში ეკოლოგიის გაკვეთილები დაინიშნა. რეგიონში მოიწვიეს ექსპერტები, რომლებიც გარემოს შესასწავლად გაკვეთილებს სკოლის კედლებს გარეთ, ბუნებაში ატარებენ.

ბავრიის რეგიონში ტრანსპორტის ჭარბი რაოდენობისა და გაუმართაობის გამო დაბინძურებულია ჰაერი. ეკოლოგიური ცნობიერების განვითარებისათვის, რომელიც ახალგაზრდებში ისეთივე დაბალია, როგორც ანტაკიაში, დაინიშნა ეკოლოგიის გაკვეთილები. გაკვეთილებს ატარებენ ადგილობრივი მასწავლებლები, რომლებიც სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ სახელმძღვანელოს იყენებენ. ამ სკოლებში ეკოლოგიის გაკვეთილების დანიშვნისათვის საჭირო გახდა ლიტერატურის დამატებითი გაკვეთილების გაუქმება.

შედეგად აღმოჩნდა, რომ ანტაკიის რეგიონის მოსწავლეებს ეკოლოგიური ცნობიერება უფრო განუვითარდათ, ვიდრე ბავრიის რეგიონის მოსწავლეებს, რომელთა დამოკიდებულებაც გარემოსდაცვითი საკითხების მიმართ თითქმის არ შეცვლილა, პირიქით, შეინიშნება ამ პრობლემის მიმართ ინტერესის კლება.

ახსენით, ეკოლოგიის გაკვეთილების ჩატარების შემდეგ რას შეიძლება გამოეწვია ანტაკიისა და ბავრიის მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერების განსხვავებული დონე?

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – თემა მოცემულ საკითხზე

მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული არქეოლოგიური ექსპონატები აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს იმ ქვეყანას, სადაც ისინი აღმოაჩინეს.

გამოთქვით თქვენი აზრი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით ამ პოზიციას; საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.